**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს -**

**სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის**

**ოქმი N 9**

**ბათუმი** **07.11.2022**

ქალაქ ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - მრჩეველთა საბჭომ, რიგით მეცხრე სხდომაზე, რომელიც გაიმართა, ამა წლის 7 ნოემბერს, განიხილა შემდეგი საკითხი:

**საკითხი 1.** ქალაქ ბათუმის ინკლუზიური თატრალური დასის ქ.ბათუმის მერიის მიერ დაფინანსების მიზანშეწონილობის განხილვა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების უმრავლესობამ მოსაზრებები შეაჯერა შემდეგ საკითხზე:

ქალაქ ბათუმის ინკლუზიური თეატრალური დასი აქტიურადაა ჩართული ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. დასის ხელმძღვანელი ნატალია გალოგრე წარმატებით ართმევს თავს თეატრის ხელმძღვანელობას და დასი ფუნქციონირებს მუდმივად. საბჭოს წევრები შევჯერდით მთავარ საკითხზე, რომელიც გავუზიარეთ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროს ბატონ მერაბ ქიძინიძეს. თეატრის საქმიანობის წარმატებით გაგრძელებისთვის მიზანშეწონილია მან მიიღოს მუნიციპალიტის ბიუჯეტიდან შესაბამისი მხარდაჭერა. ასევე საბჭოს წევრები სხდომის მსვლელობისას დაუკავშირდნენ ბათუმის, თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა თეატრის ხელმძღვანელობას, რომელსაც სთხოვეს ბათუმის ინკლუზიური თატრალურ დასთან მომავალი თანამშრომლობის ფორმატის შემუშავება. შეთანხმების საფუძველზე ჩაინიშნა სპექტაკლის თამაში ბათუმის, თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ქ. ბათუმი

07.11.2022

მრჩეველთა საბჭოს წევრები:

| N | სახელი და გვარი | პოზიცია | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | აფხაზავა ირმა | წევრი | |
| 2 | აფხაზავა ნათია | წევრი | |
| 3 | გუდავა თამარ | თავმჯდომარე | |
| 4 | თურმანიძე თამაზ | წევრი | |
| 5 | ინაიშვილი ნინო | წევრი | |
| 6 | კვირიკაძე მაყვალა | წევრი | |
| 7 | ლორია მანუჩარ | წევრი | |
| 8 | მაჭარაშვილი რამინ | თავმჯდომარის მოადგილე | |
| 9 | მეიშვილი თამილა | წევრი | |
| 10 | ნაკაშიძე ლაშა | წევრი | — |
| 11 | ქათამაძე ციური | წევრი | — |
| 12 | ქობულაძე დავით | წევრი | — |
| 13 | შავიშვილი რუსუდან | წევრი | |
| 14 | შერვაშიძე ალექსანდრე | მდივანი | — |